როგორ გადავამოწმო ჩემი დანიშნულების სისწორე?

ელექტრონული რეცეპტის შემთხვევაში

- დანიშნულება ატვირთეთ ელექტრონულ პორტალზე www.eprescription.moh.gov.ge;
- დანიშნულება გადამოწმდება კომისიის მიერ 3 სამუშაო დღის განმავლობაში, რომლის შედეგები აისახება აღნიშნულ პორტალზე;
- თუ მიიღებთ შეტყობინებას - „დანიშნულება არ საჭიროებს კორექციას“, შეგიძლიათ დაიწყოთ მკურნალობა. თუ აღნიშნულია, რომ „დანიშნულება საჭიროებს კორექტირებას“, მიმართეთ თქვენს ექიმს, რომელიც ასევე მიიღებს აღნიშნულ შეტყობინებას და მოხდება დანიშნულების შეცვლა საჭიროებისამებრ.
- თუ თქვენ მიმართეთ თქვენს ექიმს დანიშნულების კორექტირების მიზნით და ექიმის მიერ არ მოხდა დანიშნულების კორექტირება, ან ექიმის განმარტება თქვენთვის არ აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი, შეგიძლიათ განმეორებით ატვირთოთ თქვენი დანიშნულება.

თუ დანიშნულება არ არის გაცემული ელექტრონულად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ ფილიალში წარმოადგინეთ დანიშნულების ფურცელი და მას ოპერატორი ატვირთავს ელექტრონულად. განხილვის შემდეგ, კომისიის პასუხი გაიცემა 3 სამუშაო დღის ვადაში, კვლავ სოციალური მომსახურების სააგენტოს ფილიალიდან.



გადამოწმებას ექვემდებარება დანიშნულება:

- რომელიც შეიცავს 5 და მეტ ფარმაცევტულ პროდუქტს.
- რომლითაც მკურნალობა უკვე მიმდინარეობს, ან ჯერ არ დაწყებულა. დასრულებული მკურნალობის შემთხვევაში, დანიშნულება არ განიხილება.

ერთად ვმართოთ პოლიფარმაცია

1505

დანიშნულების გადამოწმების დეტალური ინსტრუქცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე

www.moh.gov.ge

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საშინისტრო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საშინისტრო

გადაამოწმე დანიშნულება – იმკურნალე უსაფრთხოდ!

რა არის პოლიფარმაცია?

პოლიფარმაცია – მედიკამენტების ჭარბი, არამიზნობრივი დანიშვნა და გამოყენება. შესაძლოა პაციენტი ჭარბ მედიკამენტებს იღებდეს როგორც ექიმის დანიშნულებით, ასევე თვითნებურად.

რა რისკებს შეიცავს პოლიფარმაცია?

მედიკამენტების ჭარბად მოხმარების შემთხვევაში, მაღალია შემდეგი რისკების განვითარების საფრთხე:

- ერთმანეთის საწინააღმდეგო მოქმედების ნივთიერებების მიღება, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას და კონკრეტული ორგანოების ფუნქციის მოშლის მიზეზიც კი ხდება.
- ერთი და იმავე მოქმედების რამდენიმე მედიკამენტის ერთდროულად მიღება, რაც იწვევს ამ ნივთიერებების ზედოზირებას, აკუმულირებას, რაც ასევე საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.
- ნივთიერება-დამოკიდებულება; ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობა და სხვა.
- მედიკამენტების არამიზნობრივი გამოყენება დაკავშირებულია მნიშვნელოვან მატერიალურ დანახარჯებთან, როგორც მათ შესაძენად, ასევე არასწორი მოხმარების შედეგად გამოწვეული მდგომარეობების სამკურნალოდ.

პოლიფარმაცია–გლობალური პრობლემა!

პოლიფარმაცია წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვან გამოწვევას მსოფლიოს მასშტაბით.

საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგად, საპენსიო ასაკის მოსახლეობაში გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი:

- მედიკამენტების მაღალი თვითნებური მოხმარება.
- დაავადების სიმპტომური და არასრულყოფილი მკურნალობა.
- ერთი და იმავე მოქმედების რამდენიმე მედიკამენტის ერთდროულად მიღება.
- ერთდროულად 5-ზე მეტი სხვადასხვა დასახელების მედიკამენტის მოხმარება.

პოლიფარმაცია მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც. პოლიფარმაციის მართვის პროექტის SIMPATHY-ის თანახმად:

- ყოველწლიურად 8.6 მილიონ ადამიანს უწევს დაუგეგმავი ჰოსპიტალიზაცია მედიკამენტების არამიზნობრივი მოხმარების მიზეზით.
- 65 წელს გადაცილებული პაციენტები, რომლებიც იღებენ 5 და მეტი სახეობის მედიკამენტს, მათ 50%-ში შესაძლებელია ჰოსპიტალიზაციის თავიდან აცილება.
- პირველადი ჯანდაცვის დონეზე ყოველი 20 რეცეპტიდან, 1 შეიცავს შეცდომას მედიკამენტების რაოდენობის მიმართულებით.

რა გაკეთდა პოლიფარმაციის მართვის მიზნით?

საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ

- შეიქმნა ინსტრუმენტი, რომელიც პაციენტს საშუალებას აძლევს გადაამოწმოს ექიმის დანიშნულება.
- ჩამოყალიბდა სპეციალური ჯგუფი, რომელიც შეისწავლის პაციენტების მიერ გადასამოწმებლად გამოგზავნილ დანიშნულებებს.
- გატარდება სარეკომენდაციო, საგანმანათლებლო და საჯარიმო ზომები პოლიფარმაციის შემთხვევების შესამცირებლად.



ახალი ინსტრუმენტი

უზრუნველყოფს პაციენტის მაქსიმალურ ჩართულობას მკურნალობის პროცესში;

პაციენტს თავიდან ააცილებს ჭარბი მედიკამენტების მიღებით გამოწვეულ ჯანმრთელობით და მატერიალურ ზიანს;

გაზრდის ექიმების მოტივაციას მედიკამენტების ოპტიმალური რაოდენობით გამოწერისთვის.